მოსკოვის საპატრიარქოს იერარქებმა მონაწილეობა მიიღეს ჩერნოგორიისა და პრიმორსკის მიტროპოლიტ იოანიკეს აღსაყდრების ზეიმში

2021 წლის 5 სექტემბერს, ჩერნოგორიის (მონტენეგროს) ისტორიულ ცენტრში, ცეტინეს ღვთისმშობლის შობის მონასტერში ჩერნოგორიისა და პრიმორსკის მიტროპოლიტ იოანიკეს აღსაყდრება შედგა. მიმდინარე წლის მაისში სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელთმთავართა კრებაზე იგი გამოირჩიეს ჩერნოგორიისა და პრიმორსკის ღვთივგანსვენებული მიტროპოლიტ ამფილოქეს ადგილზე.

წინა დღეს, ქვეყნის თანამედროვე დედაქალაქ პოდგორიცაში, აღდგომის ტაძრისწინა მოედანზე, უამრავი ადამიანის თანდასწრებით მწუხრის მსახურება აღესრულა. ხალხმა არა მხოლოდ უზარმაზარი მოედანი, არამედ მიმდებარე ქუჩებიც შეავსო. ზეიმზე, რომელსაც სერბეთის უწმინდესი პატრიარქი პორფირე უძღვებოდა, შეიკრიბა სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქთა და სასულიერო პირთა

კრებული, სტუმრები ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიებიდან, ათობით ათასი ჩერნოგორიელი მორწმუნე.

სტუმრებს შორის იყვნენ ტვერისა და კაშინის მიტროპოლიტი ამბროსი, ბერლინისა და გერმანიის მიტროპოლიტი მარკოზი (რუსეთის საზღვარგარეთის მართლმადიდებელი ეკლესია), ასევე იერარქები უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიიდან, უმე-ს საქმეთა მმართველი ბორისპოლისა და ბროვარის მიტროპოლიტი ანტონი და ტერნოპოლისა და კრემენეცის მიტროპოლიტი სერგი.

მწუხრის მსახურებას ჩერნოგორიის ხელისუფლება და მაღალი რანგის სტუმრები ესწრებოდნენ, მათ შორისაც იყო რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამ ქვეყანაში ვ. ვ. მასლენიკოვი. საღმრთო მსახურების დაწყებამდე ჩერნოგორიის პრემიერ მინისტრი ზდრავკო კრივოკაპიჩი გულთბილად მიესალმა თითოეულ მაღალ იერარქს, რომლებიც დღესასწაულზე მივიდნენ.

დიდი მწუხრის დასასრულს მიტროპოლიტმა იოანიკემ მისასალმებელი სიტყვით მიმართა სერბეთის უწმინდეს პატრიარქ პორფირეს და აღნიშნა, რომ საპატრიარქო მსახურება ეს არის – „შერიგებისა და გაერთიანების მსახურება“.

შემდეგ სერბეთის უწმინდესმა პატრიარქმა პორფირემ სიყვარულისა და მშვიდობის სიტყვებით მიმართა ჩერნოგორიელ ხალხს და ამ ქვეყნის ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს მოუწოდა, მხარი დაუჭირონ ჩერნოგორიისა და პრიმორსკის ახლადარჩეულ მიტროპოლიტ იოანიკეს

ილაპარაკა რა მათზე, ვინც მიტროპოლიტ იოანიკეს აღსაყდრებას უწევს წინააღმდეგობას, მისმა უწმინდესობამ თქვა, რომ მართლმადიდებელმა ქრისტიანებმა უნდა ილოცონ მათთვის, მაგრამ ასევე ილოცონ იმისთვის, რომ „ჩვენი გულები ცამდე გაფართოვდეს, რომ მათ შემოსასვლელი ჰქონდეთ ჩვენს გულებში“. „იმიტომ რომ ჩვენ, როგორც მართლმადიდებელმა ქრისტიანებმა, ვიცით, რომ დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორ ხედავს და აღიქვამს ადამიანი საკუთარ თავს, როგორ ხედავს იგი თავის თავის ეროვნული ორიენტაციასთან შესაბამისობაში, როგორი პოლიტიკური შეხედულება აქვს სამყაროზე და რომელ ერს მიეკუთვნება, – ჩვენ მიანც ყველანი ერთნი ვართ”, – ბრძანა პატრიარქმა პორფირემ და აღნიშნა, რომ ეკლესია არის „სივრცე ყველა ჩვენგანისთვის “.

პატრიარქისა და მეუფე იოანიკეს გამოსვლები მრავალჯერ შეწყდა იმ ადამიანების ტაშისკვრით, ვინც ხარობდნენ უწმინდესი პატრიარქ პორფირეს ჩასვლით, რომელიც თავისი პირველიერარქიული ვიზიტით პირველად იმყოფებოდა ჩერნოგორიის მიწაზე, და მეუფე იოანიკის ჩერნოგორიის და პრიმორსკის მიტროპოლიტების საყდარზე დადგინებით.

შემდეგ სტუმრები გაემართნენ აღდგომის ტაძრის საძვალეში, სადაც სერბეთის უწმინდესმა პატრიარქმა პორფირემ მარადსახსენებელი მიტროპოლიტი ამფილოქეს განსასვენებლის ადგილას მიცვალებულთა

ლიტია აღასრულა.

საღამოს ბოლოს ტაძრის მოედანი ფეიერვერკებმა გაანათა. გახარებული ხალხი ესალმებოდა თავის პატრიარქს და მიტროპოლიტ იოანიკეს და სანთლებს ანთებდა.

ცეტინეში ზეიმის ჩაშლას შეეცადნენ რადიკალურად განწყობილი პირები. მათ მხარი დაუჭირა ქვეყნის მოქმედმა პრეზიდენტმა მ. ძუკანოვიჩი, რომელიც მანამდე არაერთხელ დაუპირისპირდა კანონიკურ ეკლესიას. მილო ჯუკანოვიჩი, რომელიც ცნობიერებით ათეისტი, ლობირებს სქიზმატური სტრუქტურის „ჩერნოგორიის მართლმადიდებელ ეკლესიის“ ინტერესებს, რომელიც არ არის აღიარებული მართლმადიდებლურ სამყაროში.

რადიკალებმა ჩაკეტეს ცეტინეს ღვთისმშობლის შობის მონასტრის მისასვლელები.

დილით ადრე ავტობუსების კოლონა მაღალიერარქებთან და სასულიერო პირებთან ერთად გაემგზავრა ცეტინეს მონასტერში, მაგრამ გზაზე მათ ბარიკადები დახვდათ, რომელთა მახლობლად რამდენიმე ათეული აგრესიულად განწყობილი ადამიანი იმყოფებოდა და ტრანსპორტის გადაადგილებას აფერხებდა. კოლონა მშვიდობიანად შემოტრიალდა და უკან გამობრუნდა.

ზეიმის მონაწილეებმა პოდგორიცას ქრისტეს აღდგომის ტაძარში აღსრულებულ საღმრთო ლიტურგიაში მიიღეს მონაწილეობა. ამ დროს, მიუხედავად იმისა, რომ მის პირად უსაფრთხოებას საფუძვლიანი საშიშროება ემუქრებოდა, უწმინდესი პატრიარქი პორფირე ვერტმფრენით ჩაფრინდა ცეტინეს მონასტერში, რათა აღესრულებინა მეუფე იოანიკეს აღსაყდრება იმ ადგილზე, სადაც ყოველ დროში დგინდებოდნენ ჩერნოგორიის მიტროპოლიტები. არცთუ მრავალრიცხოვანი, მაგრამ ხმაურიანი და აგრესიული, პოლიტიკურად ანგაჟირებული მოწინააღმდეგენი მიტროპოლიტ იოანიკეს კანონიერი და კანონიკური ინტრონიზაციისა, მოვლენების ამგვარი განვითარებისათვის მზად არ აღმოჩნდნენ.

ცეტინის მონასტერში აღსრულებულ ლიტურგიაზე, უწმინდეს პატრიარქს თანამსახურებდნენ ჩერნოგორიისა და პრიმორსკის მიტროპოლიტი იოანიკე, კრუშევაცის ეპისკოპოსი დავითი, სასულიერო პირთა კრებული. ღვთისმსახურების დასრულების შემდეგ ეპისკოპოს დავითის მიერ გაჟღერდა სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის გადაწყვეტილება მეუფე იოანიკეს გამორჩევის შესახებ.

მიტროპოლიტ იოანიკესთვის სამღვდელთმთავრო კვერთხის გადაცემისას, პატრიარქმა პორფირემ შეახსენა მის მიერ მიღებული მსახურების სირთულე და პასუხისმგებლობა: „თქვენი მისია იქნება ის, რომ დააბლაგვოთ სიბასრე, გასდოთ ხიდები, არ იკითხოთ ვინ ვინ არის, რომელ ერს ეკუთვნის ... იკითხეთ მხოლოდ სახელი, რომლითაც მოინათლა იგი სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“, – ხაზგასმით აღნიშნა მისმა უწმინდესობამ და აღნიშნა, რომ „ეკლესიაში არ არის საზღვრები, არ არის მტრობა, არ არის განხეთქილებები“, „ის ყველას თავის წიაღში აგროვებს ქრისტეს მიერ და ქრისტეში“.

თავის მხრივ, მიტროპოლიტმა იოანიკემ ხაზგასმით აღნიშნა: „თქვენი ჩამოსვლით, თქვენო უწმინდესობავ, ასევე იმით, რომ, ჩვენთან ერთად გაიზიარეთ ახლანდელი განგაშები, თქვენ გამოავლინეთ უდიდესი სიყვარული არა მხოლოდ ჩემდამი, არამედ მთელი ჩერნოგორიელი ხალხისადმი. თქვენთან ერთად, თქვენო უწმინდესობავ, ჩამოვიდნენ თავიანთ სულში მთელი მსოფლიო მართლმადიდებლობის სისავსის მქონე ღვთის წმინდა ეკლესიების წარმომადგენლები; ისინი შეიკრიბნენ, რათა ჩვენთან ერთად გაეზიარებინათ სიხარული, მაგრამ მათ არ მისცეს ცეტინეში ჩამოსვლის საშუალება. თუმცა დღეს ისინი ლოცულობენ ქრისტეს აღდგომის ტაძარში, ნეტარხსენებული მიტროპოლიტ ამფილოქეს საფლავთან... მათ თქვენთან ერთად აღავლინეს ლოცვები ძმათა შორის მშვიდობის, შერიგებისა და სიყვარულისთვის“.

პოდგორიცას აღდგომის ტაძარში ლიტურგიაზე სახარების წაკითხვის შემდეგ გამოცხადდა, რომ ცეტინეს მონასტერში მიტროპოლიტ იოანიკეს აღსაყდრება შედგა. ამან მორწმუნეთა უპრეცედენტო ტაშისკვრა გამოიწვია, ისმოდა ხმამაღალი შეძახილები „აქსიოს!“.

საღმრთო ლიტურგიის დასრულების შემდეგ აღდგომის ტაძარში უწმინდესი პატრიარქი პორფირე და ჩერნოგორიისა და პრიმორსკის მიტროპოლიტი იოანიკე მივიდნენ, ასევე მონტენეგროს პრემიერ მინისტრი ზდრავკო კრივოკაპიჩი; შეკრებილი ხალხი მათ მქუხარე აპლოდისმენტებით ესალმებოდა.

„გილოცავთ ახალ მიტროპოლიტს, რომელიც ჩვენ დღეს ცეტინის მონასტერში აღვასაყდრეთ ღვთის განგებით, სულიწმიდით, წმინდა სინოდის მამებისა და ყველა თქვენგანის ლოცვით, – ბრძანა უწმინდესმა პატრიარქმა პორფირემ დამსწრე საზოგადოებისადმი მიმართვისას. – დღეს ხარობს მთელი მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც ზეციური, ისე მიწიერი. მაგრამ უპირველეს ყოვლისა ამჟამად ხარობენ წმინდა პეტრე ცეტინელი, წმინდა ბასილი ოსტროგელი და მრავალი წმინდანი ცეტინის, ჩერნოგორიისა და პრიმორსკის სამიტროპოლიტო საყდარზე გაბრწყინებული, თქვენი დაუვიწყარი სულიერი მამის, ჩვენი მასწავლებლისა და ყველა აქ შეკრებილთა მამის – ნეტარი მიტროპოლიტი ამფილოქეს ჩათვლით. ისინი ხარობენ კეთილშობილი და ღირსეული მემკვიდრით“.

ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენლებისგან გაისმა მილოცვები.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქ კირილეს ლოცვა-კურთხევით, ჩერნოგორიაში ტვერისა და კაშინის მიტროპოლიტი ამბროსი ჩავიდა, რომელმაც მეუფე იოანიკეს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვრის მილოცვა და კეთილი სურვილები გადასცა. ასევე გაჟღერდა მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარის, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ილარიონის მისალოცი ადრესი.

ამავე დღეს უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ მიტროპოლიტ იოანიკეს მის ინტრონიზაციასთან დაკავშირებით მისალოცი წერილი გაუგზავნა.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური/

ჩერნოგორიისა და პრიმორსკის სამიტროპოლიტოს,

ტვერის სამიტროპოლიტოს,

ტვერისა და კაშინის მიტროპოლიტ ამბროსის ტელეგრამ-არხის

საიტების ინფორმაციის მიხედვით

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87962/